

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia)  
სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №17

ქ. თბილისი

24 ოქტომბერი, 2014

განსახილველი საკითხები:

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2014 წლის მეორე ნახევრის შესყიდვების გეგმაში ცვლილების პროექტი (დანართი 1);
2. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) მონიტორინგის და შეფასების გეგმის პროექტი (დანართი 2) და სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) მონიტორინგის და შეფასების გეგმის მოკლე აღწერა (დანართი 3).
3. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA-Georgia) და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის გასაფორმებელი ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ განმახორციელებელი სააგენტოს შეთანხმების პროექტი, ქართული ვერსია (დანართი 4) და ინგლისური ვერსია (დანართი 5);
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლის მომდევნო სამეთვალყურეო საბჭოზე მოწვევის საკითხი.

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები:



1. განხორციელდეს სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2014 წლის მეორე ნახევრის შესყიდვების გეგმაში ცვლილება (დანართი 1).
2. დამტკიცდეს სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) მონიტორინგის და შეფასების გეგმა (დანართები 2 და 3).
3. მოწონებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოსა (MCA-Georgia) და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს შორის გასაფორმებელი ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესების შესახებ განმახორციელებელი სააგენტოს შეთანხმების პროექტის ქართული ვერსია (დანართი 4) და ინგლისური ვერსია (დანართი 5). მიენიჭოს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელ დირექტორს, მაგდა მალრამეს აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება.
4. ეთხოვოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს მომდევნო სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე წარმოადგინოს მოსაზრებები საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის (GRDF) წილის გადაცემისა და ფონდის მიერ გაცემული სესხების მდგომარეობის თაობაზე.

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გადაწყვეტილებას ადასტურებენ ხელმოწერით:

ირაკლი დარიბაშვილი  
საქართველოს პრემიერ-მინისტრი  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

რ. 

თამარ სანიკიძე  
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე

ნოდარ ხადური  
საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ნ. 

თეა წულუკიანი  
საქართველოს იუსტიციის მინისტრი

მაია ფანჯიკიძე  
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი

ზაზა კიკვაძე  
IDS ბორჯომი საქართველოს  
გენერალური დირექტორი

ნინო ჩინჩალაძე  
საერთაშორისო განათლების ცენტრის  
დირექტორი

ნ. ჩინჩალაძე 